



თბილისის სახელმწიფო აკადემია

აქედითაა იწყება აქ

გზამკვლევი პლაგიატისა და კორუფციის აღიარებისთვის



სარჩევი

1. სამედიცინო განათლებაში ჩართული პედაგოგის
უფლება - მოვალეობანი..... 3 გვ
2. ეფექტური უკუკავშირის პრინციპები..... 11 გვ
3. აქტიური სწავლების მეთოდები 15 გვ

გზამკვლევი თავმოყრილია უფლება-მოვალეობანი, რომელიც მოეთხოვება სამედიცინო განათლებაში ჩართულ პედაგოგს, ეფექტური უკუკავშირის პრინციპები და აქტიური სწავლების მეთოდები.

გზამკვლევის მიზანი

აკადემიაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება პედაგოგების სისტემური პროფესიული განვითარების გზით


გზამკვლევის ამოცანა

- თანამედროვე სამედიცინო განათლებაში ჩართული პედაგოგის უფლება-მოვალეობების გაცნობა და გათავისება;
- პედაგოგის მიერ საკუთარი საქმიანობის თვითკრიტიკული ანალიზი (რეფლექსია) და თვითგანვითარების გეგმის დასახვა;
- პედაგოგების შეფასებისა და პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემის განვითარება;
- პედაგოგების კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლება;
- სამედიცინო განათლების მიმართულებით კვლევების დაგეგმვა აკადემიური და მოწვეული პედაგოგების ჩართულობით

გზამკვლევი პედაგოგებისათვის შედგენილია ევროპის სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის - **AMEE** მიერ მოწოდებული გზამკვლევებისა და რონალდ ჰარდენის სახელმძღვანელოს - **Eight Roles of the Medical Teacher** მიხედვით, სადაც თანამედროვე სამედიცინო განათლებაში ჩართული პედაგოგის უფლება - მოვალეობანი გაწერილია რვა ძირითადი როლის (ინფორმაციის მიმწოდებელი, ფასილიტატორი, კურიკულუმის განმავითარებელი, შემფასებელი, მენეჯერი, სწავლული და მკვლევარი, მისაბაძი მაგალითი, პროფესიონალი) ქვეშ.

სამედიცინო განათლებაში ჩართული პედაგოგის როლი	ინფორმაციის მიმწოდებელი
როლის შემადგენელი კომპონენტები	<ul style="list-style-type: none"> ✓ ინფორმაციის გამტარი - ინფორმაციის გადაცემა სტუდენტებისთვის; ✓ ინფორმაციის კურატორი - ინფორმაციის გაფილტვრა და მისი აღქმადობის უზრუნველყოფა; ✓ ინფორმაციის მართვის უნარების მწვრთნელი (coach) - სტუდენტთა მიერ შეკითხვის სწორად დასმის, წყაროდან ინფორმაციის მოძიების, მისი შეფასების და გამოყენების უნარების გამომუშავების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა;
როლის შესაბამისი უფლება - მოვალეობანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ თემის ირგვლივ ინფორმაციის მიწოდებისას გაითვალისწინეთ სასწავლო კურსის და კონკრეტული თემის სწავლის შედეგები; ✓ ინფორმაციის დანაწევრებისას აჩვენეთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილებს შორის; ✓ აჩვენეთ კავშირი ფუნდამენტურ საგნებსა და კლინიკურ დისციპლინებს შორის; ✓ მიეცით სტუდენტებს საშუალება დასვან კითხვები ან გამოთქვან მოსაზრებები მიწოდებულ ინფორმაციასთან მიმართებაში; ✓ აკონტროლეთ და შეამოწმეთ მიწოდებული ინფორმაციის აღქმადობა სტუდენტთა მიერ (დაუსვით შეკითხვები, რათა დარწმუნდეთ, რომ მასალა გასაგებია მათთვის); ✓ დარწმუნდით, რომ სტუდენტები ახერხებენ ინფორმაციის სათანადო წყაროების იდენტიფიცირებას და მათთან წვდომას

სამედიცინო განათლებაში ჩართული პედაგოგის როლი	ფასილიტატორი
როლის შემადგენელი კომპონენტები	<ul style="list-style-type: none"> ✓ სასწავლო კურსის გაცნობა; ✓ საგანმანათლებლო FAIR პრინციპის გამოყენება სწავლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით (FAIR – Feedback, Activity, Individualisation, Relevance)
როლის შესაბამისი უფლება - მოვალეობანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ გააცანით სტუდენტებს სილაბუსი, განსაკუთრებით გაუმახვილეთ ყურადღება სასწავლო კურსის და თვითოეული თემის სწავლის შედეგებზე, მათი მიღწევის გზებზე - გააქტიურეთ სტუდენტი სილაბუსთან მიმართებაში (არა მარტო პირველ სემინარზე); ✓ სისტემატურად დაანახეთ თქვენი სასწავლო კურსის ადგილი პროგრამაში (კურიკულუმის რუქაზე). განუმარტეთ, თუ რატომ არის თქვენი სასწავლო კურსი მნიშვნელოვანი და როგორ დაეხმარება იგი მომავალში საექიმო პრაქტიკაში; ✓ უზრუნველყავით სტუდენტები სასწავლო რესურსებით ("ჰენდაუთები", პრეზენტაციები, ანიმაციები და სხვა), რომლებიც შესაძლოა საუკეთესოდ ერგებოდეს მათ საჭიროებას და აუხსენით როდის და როგორ შეუძლიათ მათი გამოყენება; ✓ მიეცით სტუდენტს უკუკავშირი (Feedback) რომელიც უნდა იყოს დროული, სპეციფიკური და სწავლის მოსალოდნელ შედეგებზე ორიენტირებული და არა - განსჯადი. უკუკავშირის მიზანი არის სტუდენტის სუსტი მხარეების გამოვლენა და მათი გაუმჯობესების გზების შეთავაზება; იხ. გვერდი 11 ✓ აქტიურად ჩართეთ სტუდენტი სწავლების პროცესში- Activity იხ. გვერდი 15 ✓ გაითვალისწინეთ სტუდენტის ინდივიდუალურობა - Individualisation; ✓ გახადეთ სწავლა რელევანტური სტუდენტისთვის, მისი კარიერული მიზნების მიხედვით. აუხსენით, მომავალში სად და როგორ გამოადგებათ ის, რასაც ისწავლიან - Relevance; ✓ დაუკავშირეთ თითოეული თემა სტუდენტის მანამდე არსებულ ცოდნას.



სამედიცინო განათლებაში ჩართული პედაგოგის როლი	კურიკულუმის განმავითარებელი
როლის შემადგენელი კომპონენტები	<i>სასწავლო კურსის დაგეგმვა და განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად</i>
როლის შესაბამისი უფლება - მოვალეობანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ გაეცანით აკადემიის მიზანს, მისიას და ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს; ✓ გაეცანით აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებს; ✓ გაეცანით თქვენი სასწავლო კურსის ადგილს პროგრამაში - გაიაზრეთ და ჩამოაყალიბეთ თუ რა ცოდნა/უნარები სჭირდებათ სტუდენტებს თქვენი სასწავლო კურსის გასაგებად (pre-conditions), ასევე გაიაზრეთ, თუ თქვენი სასწავლო კურსის ცოდნა/უნარები რომელი სასწავლო კურსის წინაპირობაა (post-conditions); ✓ ითანამშრომლეთ კოლეგებთან თქვენი სასწავლო კურსის და პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით

სამედიცინო განათლებაში ჩართული პედაგოგის როლი	შემფასებელი
როლის შემადგენელი კომპონენტები	<ul style="list-style-type: none"> ✓ აკადემიაში მოქმედი სტუდენტთა შეფასების სისტემის გაცნობა; ✓ შეფასების შედეგების შესაბამისად ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში (მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით); ✓ სტუდენტებისთვის შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება
როლის შესაბამისი უფლება - მოვალეობანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ შეფასების მეთოდის და ფორმატის შერჩევასა გაითვალისწინეთ შეფასების მთავარი პრინციპი შეფასება სწავლისათვის - Assessment for Learning, განსაკუთრებით ეხება მიმდინარე - ფორმატიული შეფასებას და უკუკავშირს), ამ პრინციპის მიხედვით შეფასება დამოუკიდებელი აქტივობა კი არ არის, არამედ სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია, რომელიც გულისხმობს სწავლის პროცესის მხარდაჭერას და გაუმჯობესებას ; ✓ გაითვალისწინეთ, რომ შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან (Learning Outcomes) და სწავლის მეთოდებთან (სწავლა-სწავლების აქტივობებთან); ✓ სტუდენტს მიაწოდეთ დეტალური ინფორმაცია შეფასების მეთოდის შესახებ, განუმარტეთ თუ რატომ და რა მიზნით იყენებთ შეფასების ამ თუ იმ მეთოდს; ✓ იხელმძღვანელებთ დოკუმენტით, სადაც გაწერილია სწავლის შედეგები თითოეული თემის (სემინარის) მიხედვით, რათა დარწმუნდეთ, რომ შეფასება ფარავს სწავლის ყველა იმ შედეგს, რაც სასწავლო კურსით არის გათვალისწინებული, და რომ არ აგირჩევიათ სწავლის ის შედეგები, რომელიც სასწავლო კურსით გათვალისწინებული არ არის;

როლის შესაბამისი უფლება - მოვალეობანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ თქვენს მიერ შედგენილი კითხვები-ტესტები გააცანით კოლეგას, ან კოლეგებს, რათა ობიექტურად შეაფასონ, ნათლად არის თუ არა ფორმულირებული კითხვა; ✓ გაანალიზეთ სტუდენტების მიერ დაშვებული შეცდომები და შედეგები გამოიყენეთ სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; ✓ ყოველი შეფასების შემდეგ სტუდენტებს მიეცით უკუკავშირი ძლიერი და სუსტი მხარეების და მათი გაუმჯობესების გზების შესახებ
---------------------------------------	--



სამედიცინო განათლებაში ჩართული პედაგოგის როლი	მენეჯერი
როლის შემადგენელი კომპონენტები	თვით-მენეჯმენტი და მართვის პრინციპების გამოყენება პედაგოგიურ საქმიანობაში
როლის შესაბამისი უფლება - მოვალეობანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ დაიცავით დაწესებულების (ინსტიტუციის) პოლიტიკა, სტანდარტები, წესები, რეგულაციები და პროცედურები; ✓ ჩაატარეთ მეცადინეობები ცხრილში მითითებული დროის მიხედვით (ან ცვლილების შესახებ წინასწარ აცნობეთ ადმინისტრაციას); ✓ დაგეგმეთ და კარგად მოამზადეთ თემის თითოეული ასპექტი ლექცია-სემინარის ჩატარებამდე; ✓ მინიმუმამდე შეამცირეთ ლექცია-სემინარის ტელეფონის ზარის ან ელ-ფოსტის გამო შეწყვეტის შანსი ; ✓ აღრიცხეთ სტუდენტთა დასწრება რეგულარულად და დროულად;

სამედიცინო განათლებაში ჩართული პედაგოგის როლი	სწავლული და მკვლევარი
როლის შემადგენელი კომპონენტები	<ul style="list-style-type: none"> ✓ სამედიცინო განათლებაში და კონკრეტული სამედიცინო მიმართულებით არსებული სიახლეების ანალიზი და სასწავლო პროცესში ინტეგრაცია; ✓ პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული კომუნიკაცია კოლეგებთან
როლის შესაბამისი უფლება - მოვალეობანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ იყავით ღია და გახსნილი ცვლილებებისადმი სამედიცინო განათლებაში არსებული სიახლეების და გამოწვევების შესაბამისად; ✓ გაანალიზეთ რომელი პედაგოგიური მიდგომა ამართლებს ან არ ამართლებს თქვენს საქმიანობაში; ✓ გაუზიარეთ თქვენი პედაგოგიური გამოცდილება და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები კოლეგებს



სამედიცინო განათლებაში ჩართული პედაგოგის როლი	მისაბაძი მაგალითი
როლის შემადგენელი კომპონენტები	<ul style="list-style-type: none"> ✓ გავლენა სტუდენტთა ცხოვრების წესის არჩევანზე; ✓ სწავლისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა; ✓ დახმარება სტუდენტებისთვის მათი პროფესიული იდენტობის შექმნაში;
როლის შესაბამისი უფლება - მოვალეობანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ იყავით გულისხმიერი და ღია სტუდენტებთან ურთიერთობაში, პატივი ეცით სტუდენტებს; ✓ იყავით ორგანიზებული და პუნქტუალური, სტუდენტს ყოველთვის მიეცით ზუსტი ინსტრუქციები; ✓ იზრუნეთ, რომ იყოთ ექსპერტი თქვენს სფეროში; ✓ გააცნობიერეთ და პატივი ეცით თქვენს და სხვის შესაძლებლობებს; ✓ გამოიჩინეთ ენთუზიაზმი და სურვილი - ასწავლოთ და ისწავლონ (შექმენით ეფექტური და სასიამოვნო სასწავლო გარემო)



უკუკავშირი უკუკავშირის პრინციპები

უკუკავშირი არის ნებისმიერი დიალოგი პედაგოგსა და სტუდენტს შორის, რომელიც მხარს უჭერს სწავლების პროცესს.

რა არის უკუკავშირის მიზანი?

- სტუდენტთა ძლიერი მხარეების ხაზგასმა, სუსტი მხარეების გამოვლენა და მათი გაუმჯობესების გზების შეთავაზება;
- სტუდენტისათვის საკუთარი სწავლის შეფასებისა და მონიტორინგის უნარის განვითარება;
- სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა;

უკუკავშირი უნდა დაეხმაროს სტუდენტს, რათა მან უკეთ გაიაზროს და გააცნობიეროს სწავლის მიზანი (სად მიდის, რა მიმართულებით? **Feed Up**), გააანალიზოს მიზნისკენ მიმავალი გზა (როგორ მიდის, როგორ ასრულებს სამუშაოს? **Feed Back**) და დასახოს შემდგომი სამოქმედო გეგმა შესაბამისი მიზნის მისაღწევად (როგორ უნდა მივიდეს მიზანთან, რა სახის აქტივობების განხორციელება მისცემს პროგრესს? **Feedforward**)



უკუკავშირი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს ნდობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ხარისხის კულტურის განვითარებას საგანმანათლებლო სივრცეში (Ronald Harden 2013)

სამედიცინო განათლებაში ჩართული პედაგოგის როლი	პროფესიონალი
როლის შემადგენელი კომპონენტები	<ul style="list-style-type: none"> ✓ პედაგოგისთვის საჭირო კომპეტენციების შექმნა და სამედიცინო განათლების სიახლეების მუდმივი გაცნობა ✓ საკუთარი პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის მუდმივი თვითანალიზი ✓ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა - <i>personal well-being</i>
როლის შესაბამისი უფლება - მოვალეობანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ გაითავისეთ პედაგოგის როლი და პასუხისმგებლობა და ფეხი აუწყეთ დროს არა მხოლოდ თქვენს დისციპლინაში (საგანში), არამედ სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში; ✓ დაესწარით როგორც თქვენი სპეციალობის, ასევე სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიის მიმართულებით ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს; ✓ პერიოდულად გაეცანით ლიტერატურას სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიის შესახებ; ✓ შეაფასეთ (თვითანალიზი) თქვენი პედაგოგიური საქმიანობა სტუდენტების მხრიდან შეფასების, კოლეგების შეფასების, საგამოცდო ცენტრის მონაცემების მიხედვით; ✓ იზრუნეთ თქვენს კეთილდღეობაზე- ფიზიკურ ჯანმრთელობასა და სულიერ მხნეობაზე)

გზამკვლევი ეფექტური უკუკავშირისათვის


უკუკავშირი უნდა იყოს განმარტებითი	უკუკავშირის დროს სტუდენტს აუცილებლად დეტალურად განუმარტეთ პირველ რიგში, თუ რა გააკეთა მან სწორად (კარგად) და შემდგომ რა გააკეთა არასწორად (ცუდად) (როგორ გაამართლა და არ გაამართლა მოლოდინები). უკუკავშირი დაასრულეთ კვლავ პოზიტივით (sandwich method). მხოლოდ ქულით შეფასება არ არის საკმარისი. უკუკავშირის დროს პედაგოგის მიზანია დაეხმაროს სტუდენტს, რათა მან უკეთ დაინახოს საკუთარი ხარვეზები სწავლის პროცესთან მიმართებაში და დასახოს მისი აღმოფხვრის გზები
უკუკავშირი უნდა იყოს სპეციფიური	უკუკავშირი კონკრეტულად უნდა განუსაზღვრავდეს სტუდენტს, თუ რა სწავლის შედეგზე გავიდა. გაითვალისწინეთ, რომ სტუდენტის ნაშრომების შედარება თანატოლების ნაშრომებთან მიმართებაში არაეფექტურია
უკუკავშირი უნდა იყოს დროული და ხშირი	უკუკავშირი ბევრად უფრო ეფექტურია, როდესაც სტუდენტები მათ ისმენენ დროულად, ნაშრომების წარდგენის შემდეგ დაუყოვნებლივ და არა მოგვიანებით
წინასწარ უნდა მოემზადოთ უკუკავშირისთვის	წინასწარ სათანადოდ მოემზადეთ უკუკავშირისთვის და დარწმუნდით, რომ ინფორმაცია, რომელიც გაქვთ სტუდენტის შესახებ, შეესაბამება სინამდვილეს
უკუკავშირი უნდა დაეხმაროს სტუდენტს უკეთ დაგეგმოს საკუთარი სწავლება	უკუკავშირის ფარგლებში დაეხმარეთ სტუდენტს შემდგომი სწავლის პროცესის დაგეგმვაში, იმის გათვალისწინებით თუ რა სირთულეები (ან პრობლემები) აქვს მას ამჟამად. დახმარება შეიძლება მოიცავდეს მათთვის სპეციფიკური ლიტერატურის მიწოდებას ან მათი საჭიროებების შესაბამისი შემდგომი პრაქტიკული ან კლინიკური გამოცდილების ორგანიზებას
დაეხმარეთ სტუდენტს გააცნობიეროს უკუკავშირის მნიშვნელობა და შეძლოს მისი სწორი ინტერპრეტაცია	სტუდენტთა გარკვეულ ნაწილში მიმდებლობა უკუკავშირის მიმართ შეიძლება იყოს უარყოფითი. ასეთ შემთხვევაში სტუდენტს სთხოვეთ ზეპირად ან წერილობით მოგაწოდოთ თავისი დამოკიდებულება უშუალოდ უკუკავშირის, როგორც სწავლების კომპონენტის მიმართ

გზამკვლევი ეფექტური უკუკავშირისათვის

წახალისეთ სტუდენტები, რომ უკუკავშირი მისცენ საკუთარ თავს	ჩვეულებრივ, უკუკავშირის ქვეშ მოიაზრება უკუკავშირი პედაგოგის მხრიდან, თუმცა უკუკავშირის ფარგლებში დიალოგის დროს სტუდენტებს მიეცით საშუალება, რომ თვითონაც შეაფასონ საკუთარი ნაშრომი, მაგალითად ჰკითხეთ თუ როგორ თვლიან, რა გააკეთეს კარგად და რა მიაჩნიათ პრობლემურ ნაწილად. მაგ. OSCE გამოცდის შემდეგ მიეცით სტუდენტს შესაფასებლად საკუთარი შეფასების ფურცელი (checklist) ან OSCE გამოცდის ვიდეოჩანაწერი
---	--

უკუკავშირის მაგალითები

ეფექტური უკუკავშირი	არაეფექტური უკუკავშირი
<p>სპეციფიური, სამართლიანი, განმარტებითი</p> <p>„შენ ყურადღებით მოეკიდე პაციენტის შიშებს და ემოციურ ფონს; თუმცა ამასთან კარგი იქნებოდა ანალოგიური ყურადღებით გამოგვეჩვენა დიაბეტის შესახებ, რაც დღევანდელი ვიზიტის მნიშვნელოვანი მიზეზია“</p> <p>„შენს მიერ გამოთქმული შემოთავაზება პაციენტის მწველობასთან დაკავშირებით უდავოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ვფიქრობ დღეს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მის არტერიულ ჰიპერტენზიას“</p> <p>ქვეაზე/მოსწრებაზე ორიენტირებული</p> <p>„შენი შეხედულებები უდავოდ ფასეულია, თუმცა მნიშვნელოვანია გუნდის სხვა წევრებსაც მოუხსინოთ“</p> <p>პირად დაკვირვებაზე დამყარებული</p> <p>„ვხედავ, ფორმულირებასთან დაკავშირებით მცირედი სირთულეები გაქვს“</p>	<p>არასპეციფიური, არაგანმარტებითი, ბუნდოვანი</p> <p>„ყოჩად! კარგია!“</p> <p>კარგია, მაგრამ.....</p> <p>„ცუდია“</p> <p>პიროვნულ მახასიათებლებზე ორიენტირებული</p> <p>„ძალიან ჯიბრიანი ხარ“</p> <p>„კარგად აზროვნებ / კარგი ტვინი გაქვს“</p> <p>ნეგატივზე ორიენტირებული</p> <p>„არ შეგიძლია პრიორიტეტების დასახვა!“</p> <p>„გაუგებარია!“</p> <p>ჭორზე / გადმოცემაზე დაფუძნებული</p> <p>„შენზე მითხრეს, რომ პრობლემები გაქვს მასალასთან დაკავშირებით / მასალას ვერ ერევი“</p>



- განუმარტეთ სტუდენტს, თუ რა გააკეთა მან კარგად (ხაზი გაუსვით ძლიერ მხარეებს);
- გამოყავით სტუდენტის სუსტი მხარეები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას;
- უზრუნველყავით რჩევებით, რომლებიც დაეხმარება სტუდენტს გაუმჯობესოს სუსტი მხარეები

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და შესაბამისად ხელს უწყობს თვითგანვითარების უნარის ჩამოყალიბებას, ზრდის სტუდენტის პასუხისმგებლობას საკუთარი ცოდნის, პიროვნული, ასევე პროფესიონალური თვისებების ფორმირებაზე.

აქტიური სწავლების უპირატესობანი:

- ავითარებს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს (directed -self learning);
- ზრდის სტუდენტთა მოტივაციას;
- ზრდის სტუდენტთა ჩართულობას სწავლის პროცესში;
- ავითარებს ჯგუფში მუშაობის უნარს;
- ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარს;
- უზრუნველყოფს მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების სწავლებას;
- ავითარებს კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარს;
- ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური მონაცემების განვითარებას და მათი განსაკუთრებული ინტერესების გამოვლენას;
- ზრდის სტუდენტის თვითშეფასებას;
- ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას (deep learning);

აქტიური სწავლების მეთოდები



TAKE A BRAKE

- დაასვენეთ სტუდენტები 2 წუთით ყოველი 15 წუთის შემდეგ;
- ამ დროის განმავლობაში, მიეცით მათ საშუალება იმსჯელონ მეგობრებთან სალექციო მასალის შესახებ;
- 2 წუთის შემდეგ ჰკითხეთ, თუ რის დაზუსტება სურთ, ან რა არის მათთვის გაუგებარი;
- დამატებით განუმარტეთ მათთვის საინტერესო საკითხები




ASK FIRST

შეარჩიეთ გარკვეული დრო ლექცია/სემინარის მსვლელობისას (მაგალითად ყოველი 15 წუთის შემდეგ) და სტუდენტებს დაუსვით კითხვები, რომლებიც დაეხმარება მათ, ახალი ცოდნა (ინფორმაცია) დააკავშირონ უკვე არსებულ ცოდნასთან.

(მაგალითად: იცით თუ არა რომ? რა განსხვავებაა... და ა.შ)

KNOWLEDGE CLIP

როგორც თქვამის განუმარტეთ შემცნებითი ანიმაციების/ვიდეორგოლების (მაქსიმუმ 10 წუთიანი) დახმარებით. ამგვარი ანიმაციები ეხმარება სტუდენტებს უკეთ გაიაზრონ და აითვისონ მასალა.



FRAMEWORK FOR NOTES

- მიეცით სტუდენტებს ცარიელი ან ნახევრად ცარიელი ჩარჩო (ცხრილი), რომელიც უნდა შეავსონ ლექცია/სემინარის დროს მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე.

- სემინარის ბოლოს განიხილეთ შევსებული ჩარჩო (ცხრილი)

ჩარჩოს გამოყენება სტუდენტებს საშუალებას აძლევს მეტად კონცენტრირდნენ ლექცია/სემინარზე და უკეთ განასხვავონ ძირითადი საკითხები არაძირითადისგან.



SCALE_UP


- სემინარის დროს სტუდენტები დაყავით ჯგუფებად და მიეცით საინტერესო თემა, რომლის შესახებაც სემინარის მსვლელობისას უნდა მოიპოვონ ინფორმაცია;
- თითოეულ ჯგუფს უნდა ჰქონდეს თითო კომპიუტერი (ან სმარტფონი) მაინც;
- მიეცით ჯგუფებს დრო ინფორმაციის მოსაძიებლად;

პედაგოგის როლი ამ მეთოდის დროს არის ჯგუფების ზედამხედველობა, თუ როგორ მოიძიებენ ინფორმაციას, შეკითხვების დასმა, ერთი გუნდის გაგზავნა მეორის დასახმარებლად, ან კითხვის დასმა თუ რატომ მიიღო ვინმემ განსხვავებული პასუხი.

SPEED DATING

- გარკვეული თემის (კონცეფციის) ახსნის შემდეგ სტუდენტები დაყავით წყვილებად;
- წყვილში ერთი სტუდენტი მეორეს უხსნის პედაგოგის მიერ გადმოცემულ თემას/ კონცეფციას (დაუწესეთ დროის ლიმიტი);
- წყვილში მეორე სტუდენტი კითხვების დასმის გზით ცდილობს მაქსიმალურად კარგად გაიგოს თანატოლის ახსნილი;

სტუდენტები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულები, რომ მათ თანატოლებს უნდა აუხსნან ახალი მასალა, თუმცა წყვილში მსმენელის შერჩევა რანდომულად უნდა მოხდეს.




JIGSAW Method

- დაყავით სტუდენტები მცირე ჯგუფებად (5-6 სტუდენტი) - „Jigsaw“ ჯგუფები;
- გაყავით სემინარის თემა 5-6 ქვეთემად და გაანაწილეთ jigsaw“ ჯგუფის მონაწილეებს შორის (ე.ი. Jigsaw ჯგუფში შემავალ თითოეულ წევრს განსხვავებული ქვეთემა აქვს);
- Jigsaw“ ჯგუფში შემავალი სტუდენტები დამოუკიდებლად იწყებენ მუშაობას თავიანთ ქვეთემებზე;
- მიეცით გონივრული დრო ინფორმაციის მოსაძიებლად;
- გონივრული დროის გასვლის შემდეგ Jigsaw“ ჯგუფების სტუდენტებიდან შექმენით ექსპერტთა ჯგუფები, ექსპერტთა ჯგუფში ყველა სტუდენტს ერთი ქვეთემა აქვს;
- ექსპერტთა ჯგუფები გარკვეული დროის (დროს პედაგოგი განსაზღვრავს) განმავლობაში ერთმანეთს უზიარებენ მოპოვებულ ინფორმაციებს;
- ექსპერტთა ჯგუფის წევრები ბრუნდებიან Jigsaw“ ჯგუფებში და თავიანთ ქვეთემებს აცნობენ (ასწავლიან) Jigsaw“ ჯგუფის წევრებს;

სემინარის ბოლოს მიეცით სტუდენტებს კითხვარი (კითხვარი უნდა მოიცავდეს ყველა ქვეთემას), რომელიც უნდა შეავსონ ინდივიდუალურად, ან მიეცით დავალება (მაგ.შემთხვევა (case) რომელსაც ამოხსნიან jigsaw ჯგუფებში

STUDENT LED REVIEW SESSION

სემინარის ან ლექციის ბოლოს, სტუდენტები ვალდებული არიან დასვან ერთი კითხვა განხილული თემის შესახებ და შეეცადონ უპასუხონ კიდევ ერთი სტუდენტის მიერ დასმულ მინიმუმ ერთ კითხვას.



GENERATED EXAM QUESTIONS

სთხოვეთ თქვენს სტუდენტებს შექმნან საგამოცდო კითხვები. ეს მათ დაეხმარება კარგად განიხილონ, გაიმეორონ განვლილი მასალა და მოემზადონ გამოცდისთვის.

ბონუსის სახით შეგიძლიათ შესთავაზოთ, რომ შეირჩევა საუკეთესო სამი კითხვა, რომელიც შევა გამოცდაზე.

ONE MINUTE PAPER




სთხოვეთ თქვენს სტუდენტებს, შეაჯამონ ლექცია/სემინარის ძირითადი საკითხები ლექციის ბოლოს, ერთი წუთის განმავლობაში.

ან შეგიძლიათ ლექციის ბოლოს თქვენს სტუდენტებს დაუსვათ კითხვები, მაგალითად: რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი? რა ისწავლეთ ამ ლექცია/სემინარის განმავლობაში?

რა მნიშვნელოვანი კითხვა გრჩებათ პასუხგაუცემელი?

რა იყო ყველაზე დამაბნეველი საკითხი? და სხვა



PROGRESS QUIZZ

ახალი თემის ახსნამდე თქვენს სტუდენტებს წინასწარ, წერილობითი სახით მიეცით დაახლოებით **20-30 კითხვა** იმ თემის ირგვლივ, რომელიც უნდა განიხილოთ. ასე ისინი უკეთ კონცენტრირდებიან ახალი მასალის ახსნის დროს და თან დააკვირდებიან საკუთარ პროგრესს.

სემინარის ბოლოს ყველა კითხვა განიხილეთ სტუდენტებთან ერთად.



WAIT TIME

- კითხვის დასმის შემდეგ სტუდენტებს მიეცით **სავალდებულო დრო მოსაფიქრებლად** (მინიმუმ 15 წამი);
- მკაცრად გააფრთხილეთ, რომ თქვენი ნებართვის და სავალდებულო დროის გასვლის გარეშე არ უპასუხონ კითხვას (შეგიძლიათ ვიზუალური ტაიმერიც კი განათავსოთ ეკრანზე);
- რანდომულად აირჩიეთ სტუდენტი, რომელიც უპასუხებს კითხვას;

სტუდენტები შეეჩვევიან, რომ დაიცადონ კითხვის დასმის შემდეგ და შესაბამისად უფრო მეტი სტუდენტი ჩაერთვება აქტიურად სემინარის მსვლელობისას.



PEER REVIEW


მიეცით სტუდენტებს საშუალება, შეაფასონ ერთმანეთი.

თანატოლებში ურთიერთშეფასება ასტიმულირებს სტუდენტების კრიტიკულ აზროვნებას, აწვითარებს სხვისი და საკუთარი საქმიანობის შეფასების უნარს. (პირველ რიგში თქვენ მიეცით მაგალითი, თუ როგორ უნდა მისცენ ეფექტური უკუკავშირი, რადგან სტუდენტებმა ხშირად არ იციან ეფექტური უკუკავშირის პრინციპები)

SUMMARY OF ANOTHER STUDENTS ANSWER

მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი სტუდენტი გიპასუხებთ კითხვაზე, სთხოვეთ სხვა სტუდენტებს შეაჯამონ თანატოლის პასუხი (სასურველია ამ დროს თანატოლები იყვნენ ერთმანეთის პირისპირ და არა პირისახით პედაგოგისკენ);

სტუდენტთა უმრავლესობა ნაკლებად ისმენს თანატოლების საუბარს და ელოდებიან რომ პედაგოგი გაუსწორებს ან გაიმეორებს პასუხს. თუ გაითვალისწინებენ რომ შეიძლება მოსთხოვონ მეგობრის კომენტარის გამეორება ან მისი შეფასება, სტუდენტთა უმრავლესობა უფრო ყურადღებით მოუსმენს ერთმანეთს.



PEER REVIEW ON BEHAVIOUR

ყოველი ჯგუფური სამუშაოს შემდეგ, სტუდენტებს სთხოვეთ გამოთქვან მოსაზრებები ჯგუფის მინიმუმ ორი წევრის ქცევის შესახებ. მაგალითად, კითხვები შეიძლება ფოკუსირდეს, თუ რამდენად აქტიურები და ჩართულები იყვნენ ისინი ჯგუფური მუშაობისას, რამდენად ითვისებდნენ გუნდის აზრს. ასეთი უკუკავშირი შეიძლება მოგაწოდონ წერილობით და თუ თქვენ ჩათვლით საჭიროდ, შეგიძლიათ გადასცეთ ადრესატს;

ამგვარად შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ სტუდენტებში პროფესიონალური დამოკიდებულებების განვითარებას.



SNOWBALL GROUP

- სტუდენტები ჩამოწერენ კითხვებს გარკვეული პრობლემის ან თემის შესახებ (5 წუთი);
- სტუდენტები იყოფიან წყვილებად და ცდილობენ უპასუხონ სხვის მიერ შექმნილ კითხვებს. ასევე შეუძლიათ ახალი კითხვების დამატება (10 წუთი);
- წყვილები იკრიბებიან ოთხ კაცთან ჯგუფებად. ჯგუფები მოკლედ აჯამებენ წყვილებში ჩატარებულ დისკუსიებს (20 წუთი);
- 4 კაცთან ჯგუფს ემატება კიდევ 2 სტუდენტი, ჯგუფი აერთიანებს შეგროვებულ ინფორმაციას და უფრო ღრმად განიხილავენ მას (20 წუთი);
- ბოლოს თვითთველი ჯგუფი ირჩევს წარმომადგენელს, რომელსაც ეძლევა სამი წუთი, ჯგუფის დასკვნების მოსახსენებლად.

FLIPPED CLASSROOM

შებრუნებული საკლასო ოთახი

- შეარჩიეთ თემა თქვენი სასწავლო კურსიდან და ჩამოაყალიბეთ შესაბამისი სწავლის შედეგები - კონკრეტულად რა უნდა იცოდეს სტუდენტმა ამ თემის დასრულების შემდეგ;
- შერჩეული თემა, წინასწარი ახსნის გარეშე მიეცით სტუდენტებს დამოუკიდებლად დასამუშავებლად (**pre-class work**), მიუთითეთ შესაბამისი ლიტერატურა, მასალები. შეგიძლიათ შერჩეული თემის შესახებ PPT ფორმატში აწყობილი ლექციის სახით ჩაწეროთ ვიდეო (ხანგრძლივობა მაქსიმუმ 15- 20 წუთი);
- **In-class activity** სემინარზე დაბრუნებული სტუდენტები წერენ მზაობის ტესტს (**readiness assurance test**), ყველა სტუდენტი წერს განსხვავებულ ტესტს (ტესტების რაოდენობა შეიძლება იყოს 2 დან 5 მდე). ამის შემდეგ იწყებთ დისკუსიას თემის განხილვის მიზნით

თემის განსახილველად შესაძლოა რამოდენიმე მოდელი გამოიყენოთ:

- ✓ ჩამოწერეთ ყველა ის შეკითხვა, რომელიც ვერ გაიგეს სტუდენტებმა, დაყავით მთელი ჯგუფი მცირე ჯგუფებად (2-3 სტუდენტი), მიეცით მცირე დრო (5-15 წუთი შეკითხვის მიხედვით) და სთხოვეთ მოამზადონ მცირე პრეზენტაცია აღნიშნულ შეკითხვებზე. პრეზენტაციის შემდეგ, რა თქმა უნდა, გადაამოწმეთ, რომ ყველა სტუდენტმა მიიღო პასუხი თავის შეკითხვაზე;
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ თემა შედარებით უკეთ გაიგეს სტუდენტებმა და ნაკლები შეკითხვებია, მიეცით კლინიკური ქეისი ან ამოცანა, დაყავით ისევ ქვეჯგუფებად (2-3 სტუდენტი), მიეცით იმდენი დრო, რამდენსაც თვლით რომ სჭირდებათ; თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოამზადოს პრეზენტაცია.

აღნიშნული აქტივობის შედეგად მიეცით წახალისება სტუდენტებს:

- შესაძლოა ეს გამოიხატოს მცირე ბონუს-ქულაში რომელიმე აქტიური სტუდენტის მიმართ;
- შესაძლოა ეს იყოს ბონუს-ქულა ყველაზე აქტიურ ჯგუფს;
- **post-class activity** - სტუდენტებს მიეცით დავალება, რომლითაც მოხდება განხილული თემის შეჯამება (დავალების შესრულების გარეშე აქტივობის ქულა არ გაფორმდება)





გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება (Team Based Learning-TBL)

- გუნდის წევრები შერჩეული იქნას რანდომულად;
- შეიქმნას 5-7 წევრიანი გუნდები;
- TBL სესიის წინ ჩატარდეს გაცნობითი შეხვედრა, რომელიც სტუდენტებს დეტალურად გააცნობს მეთოდის არსს და წესებს. ასევე ყველა ჯგუფი იღებს თემის სათაურს ;
- მომზადდეს 10 MCQ ტესტი TBL ირგვლივ (ინდივიდუალური მზაობის ტესტი TBL სესიის წინ) რომელიც ტარდება სესიის დაწყებამდე და სტუდენტი იღებს ინდივიდუალურ ქულას;
- კლინიკური შემთხვევის (სცენარის) და შეკითხვების (მაქს. 5-6) მომზადება

ქეისი მოდულის ფარგლებში უნდა ახდენდეს შესაბამისი ბაზისური საგნების ინტეგრაციას კლინიკური პრობლემის ამოხსნის მიზნით

TBL სესია შედგება 4 ეტაპისგან:

ეტაპი 1 - გუნდის კლასგარეშე მომზადება (პედაგოგის მიერ მითითებული ლიტერატურით და წყაროებით);

ეტაპი 2 - ინდივიდუალური და ჯგუფური ტესტირების ჩატარება

ეტაპი 3 - გუნდური მუშაობა კლინიკურ სცენარზე: მსჯელობა, განხილვა, დისკუსია, კითხვებზე საბოლოო პასუხების ფორმირება. კითხვებზე პასუხების პრეზენტაცია (მომხსენებელს ირჩევს პედაგოგი).

ეტაპი 4 - სტუდენტების ურთიერთშეფასება (ურთიერთშეფასების შკალა წინასწარ უნდა მომზადდეს)



P.S.

თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ აქტიური სწავლების სხვადასხვა მეთოდი ან მეთოდები თქვენი სასწავლო კურსის და განსახილველავლი თემის შესაბამისად (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც აქტიური სწავლების რომელიმე მეთოდი სილაბუსით არის გაწერილი).

ყოველთვის სტუდენტებს განუმარტეთ, რომ აქტიური სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ავითარებს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს (directed -self learning), ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას (deep learning) და აშუადებს მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის (life-long learning).

არსებობს აქტიური სწავლების სხვა მეთოდებიც. ჩვენს დოკუმენტში მოცემული მეთოდები შერჩეულია რადბაუდის უნივერსიტეტის რეკომენდაციების მიხედვით (Radboud University, Department of Educational Support, Netherlands -Inspirational Cards for Activating Teaching Methods)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Harden, R. M., Lilley, P., (2018). *Eight Roles of the Medical Teacher: the purpose and function of a teacher in the healthcare professions*. Edinburgh: Elsevier.
2. Dent, J., Harden, R., (eds.). (2013). *Practical Guide for Medical Teacher*. (4th ed.). London: Churchill Livingstone.
3. Harden, R., Laidlaw, J. (2017). *Essential Skills for Medical Teachers: An Introduction to Teaching and Learning in Medicine*. (2nd ed.) Edinburgh: Elsevier.
4. Steinert Y., (ed.). (2014). *Faculty Development in the Health Professions: a focus on research and practice*. New York: Springer.
5. AMEE Guides N11,14,15,20,22,24,25,31,44,45,65,78,96
6. *Inspirational Cards for Activating Teaching Methods* - Radboud University, Department of Educational Support, Netherlands,2018

საქართველო, თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის 51/2 • Georgia, Tbilisi. 0144, Ketevan Tsamebuli ave., 51/2
ტელ./tel: (+995 32)2 91 24 84 • ფაქსი/fax: (+995 32)2 74 71 34
e_mail: tma@tma.edu.ge
www.tma.edu.ge